

# ტექნოლოგიების ტრანსფერტი და იმპორტ-ექსპორტი

## გივი ქოჩორაძე

### 1. შესავალი

ჯერ კიდევ ევროპისთვის ინოვაციების პირველ სამოქმედო გეგმაში<sup>1</sup> (1996 წელი) იყო ნათქვამი, რომ უნდა გაიზარდოს მცირე საწარმოების უნარი აითვისონ ახალი ტექნოლოგიები მათი წარმოშობის წყაროს მიუხედავად, წევრმა სახელმწიფოებმა ხელშემწყობი ქმედებები საერთაშორისო წარმომავლობის ტექნოლოგიებზეც უნდა გაავრცელონ, ხოლო მცირე საწარმოებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ უმაღლესი დონის (ევროპულისა თუ მსოფლიოს) ექსპერტიზაზე ტექნოლოგიების, ორგანიზაციულ და მართვის სფეროებში. ამავე სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ იქნა, რომ სპეციალურმა საშუაშაველო ორგანიზაციებმა დახმარება უნდა გაუწიონ მცირე საწარმოებს აღნიშნული უნარის კრიტიკული მასისა და აუცილებელი პროფესიული დონის მიღწევაში, ხოლო ევროკომისიამ თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს კავშირები ინოვაციების მხარდამჭერ ეროვნულ და რეგიონულ სტრუქტურებს შორის და მათ სერტიფიკაციას.

აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო დაიხვეწა ლისაბონის პროცესის ფარგლებში, რომელმაც არსებითად გამოკვეთა ტექნოლოგიური ტრანსფერტების როლი და მნიშვნელობა ევროგაერთიანების ინოვაციურ განვითარებაში. ამჟამად მრავალ კომპანიაში, უნივერსიტეტსა თუ სამთავრობო ორგანიზაციაში შექმნილია “ტექნოლოგიური ტრანსფერტების ოფისები”, რომლებიც მოწოდებულნი არიან განახორციელონ კომერციული პოტენციალის მქონე სამეცნიერო კვლევების იდენტიფიცირება და მოახდინონ მათი კომერციალიზაციის სტრატეგიის შემუშავება.

მოცემული სტატიის მიზანია გავაცნოთ საქართველოს ტექნიკურ და სამეცნიერო საზოგადოებას, ევროკავშირში ტექნოლოგიის ტრანსფერტის

<sup>1</sup> First Action Plan for Innovation in Europe. European Commission, 1996. (<http://cordis.europa.eu/documents>)

მექანიზმის მოქმედება, ტექნოლოგიის ტრანსფერტის ფორმები, ტექნოლოგიების იმპორტი და ექსპორტი, ტექნოლოგიების გადაცემის რეგულირებასთან და ხელშეწყობასთან დაკავშირებული ევროგაერთიანების კანონმდებლობა, ევროპული ტექნოლოგიური ქსელები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. სტატიაში აღნიშნული საკითხები მიმოხილულია ძირითადად ევროპული წყაროების და მონაცემების გათვალისწინებით. სტატია შემდეგნაირადაა ორგანიზებული: მომდევნო პარაგრაფში მოკლედია მიმოხილული ტექნოლოგიური ტრანსფერტის არსი და მისი ფორმები; მესამე პარაგრაფში მოტანილია ტექნოლოგიების გადაცემასთან დაკავშირებული ევროგაერთიანების კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა. დასასრულს წარმოდგენილია დასკვნები.

## 2. ტექნოლოგიების ტრანსფერტი

### 2.1. ტექნოლოგიების ტრანსფერტის არსი

ტექნოლოგიების ტრანსფერტი ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება სამეცნიერო კვლევებისა და ფუნდამენტური აღმოჩენების კომერციალიზაცია და ამ ტექნოლოგიების გადაცემა ერთი ორგანიზაციიდან მეორეში. ტექნოლოგიური ტრანსფერტის პროცესში ართული პირები აწარმოებენ ტექნოლოგიების შეფასებას, ლიცენზიური ხელშეკრულებისათვის საჭირო მოლაპარაკებებს და სხვა. ამასთან ტექნოლოგიების ტრანსფერტისათვის ხშირად საჭიროა საპატენტო პროცედურების სათანადოდ შესრულება. ტექნოლოგიის სამეცნიერო ლაბორატორიიდან ბიზნესში გადაცემის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ეფექტური სამეწარმეო გარემოს შექმნა.

ტექნოლოგიების ტრანსფერტის ძირითადი კომპონენტებია: გამოგონებების, აღმოჩენების, ინოვაციების ეკონომიკური მახასიათებლების ობიექტური შეფასება; დაპატენტება (ინტელექტუალური საკუთრების დაცვა), ტექნოლოგიების მარკეტინგი, ლიცენზირება, ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ახალი ბიზნესების შექმნისა და არსებულ ფორმებში ტექნოლოგიის

წარმატებით ათვისების ხელშეწყობა. ამ ქმედებების შედეგია ახალი პროდუქტის შექმნა, უფრო მეტი მაღალ ტექნოლოგიური სამუშაო ადგილის შექმნა და საზოგადოებრივი ეკონომიკის განვითარება ქვეყანაში.

ტექნოლოგიური ტრანსფერტისათვის საჭიროა ტექნოლოგიის კომერციული პოტენციალის შეფასება, რომელიც დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: ტექნიკური განვითარება, რომელიც მოიცავს დროს, მასალებს, და პერსონალს; ტესტირება, რომელიც საჭიროა პროდუქტის ვარგისიანობის დასადგენად, პროდუქტის უსაფრთხოება; წარმოების მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ ხელსაწყოების, დანადგარებისა და პერსონალის არსებობას გასაყიდი პროდუქტის შესაქმნელად; ბაზრის განვითარების მოთხოვნები, რომელიც დამოკიდებულია პროდუქტის წარმატებულ მარკეტინგზე, პოტენციური ბაზრის განსაზღვრაზე, მოსალოდნელი გაყიდვების შეფასებაზე, კონკურენტუნარიანი პროდუქციის უპირატესობის შეფასებაზე და შეთავაზებული პროდუქტის ფასის დადგენაზე; ფინანსური მიზანშეწონილობა, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის ფასთან, წარმოების ხარჯებთან, სუფთა მოგებასთან, პოტენციურ პასუხისმგებლობასთან და ინვესტიციების რენტაბელობასთან<sup>2</sup>.

ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის ობიექტს წარმოადგენს ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები როგორც განივთებული (მატერიალიზირებული) დანადგარ-მოწყობილობის, აგრეგატების, ინსტრუმენტების, ტექნოლოგიური ხაზების სახით, ასევე არა განივთებული (არამატერიალიზირებული) ფორმით (სხვადასხვა სახის ტექნიკური დოკუმენტაცია, ცოდნა, გამოცდილება და ა.შ.). მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ტექნოლოგია იქცევა საქონლად, ანუ პროდუქტად, რომელიც შესაძლებელია გაიყიდოს მხოლოდ გარკვეულ პირობებში. საკმარისია ითქვას, რომ დაპატენტებული სიახლეებიც კი მთელ მსოფლიოში რეალურად გამოიყენება მხოლოდ 3%-5%-ით. ტექნოლოგიას უნდა გააჩნდეს სასაქონლო სახე, ანუ აკმაყოფილებდეს საქონელზე სტანდარტულ მოთხოვნებს. ამ სახით ტექნოლოგია-საქონელს შეიძლება ჰქონდეს პატენტის, „ნოუ-ჰაუ“-ს, დანადგარმოწყობილობის, აპარატურის ან სხვა ტექნიკის საცდელი ან სამრეწველო ნიმუშის სახე. ამიტომ ინტელექტუალური შრომის

<sup>2</sup> Notes on Technology Transfe, (<http://www.gdrc.org/uem/techtran.html>)

პროდუქტების კომერციული გამოყენების პროცესებისათვის გამოიყენება ტერმინი „ტექნოლოგიის გადაცემა“ ან „ტექნოლოგიური გაცემა“.

ტექნოლოგიური გაცემის ხელშეკრულებათა პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელია წმინდა სახით ტექნოლოგიური ელემენტის გამოყოფა. მაგალითად, რაიმე ტექნიკური მოწყობილობების მიწოდებას, ყოველთვის თან ახლავს დოკუმენტაციის პაკეტის გადაცემა, ხანდახან კი ლიცენზიაც. თავად მოწყობილობა შესაძლოა იყოს კარგად ცნობილი, მაგრამ მისი რომელიმე კვანძი ან კომპონენტი აღმოჩნდეს პრინციპულად ახალი, რაც რადიკალურად ცვლის მთლიანად მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებს. გარდა ამისა, მომწოდებელი ფირმა ახორციელებს დანადგარის მონტაჟს, აწყობას, გაშვებას, პერსონალის სწავლებას, რითაც გადასცემს საკუთარ „ნოუ-ჰაუ“-ს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტექნოლოგიის გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მყიდველი მხარე მას განიხილავს როგორც სიახლეს, რომელიც უზრუნველყოფს მისი კონკურენტუნარიანობისა და პერსპექტივაში შემოსავლების ზრდას.

ბაზარზე წარმატებით დანერგვის შემთხვევაში, მოთხოვნა ტექნოლოგიაზე სწრაფად იზრდება, მიაღწევს რაღაც მაქსიმუმს და შემდგომ იწყებს კლებას. შესაბამისად იცვლება საფასო პარამეტრებიც, და შესაბამისად მოგებაც. ტექნოლოგიაზე უფლების საიმედოდ დასაცავად ნებისმიერი მისი შემქმნელი ცდილობს დააპატენტოს იგი ძირითად – პოტენციურ კონკურენტ ქვეყნებში. სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს ტექნოლოგიაზე საკუთრების დაცვის განსხვავებულ ვადებს. ძირითადად, ეს ვადა შეადგენს 20 წელიწადს. თანამედროვე პირობებში სწრაფად ხდება როგორც შემუშავების, ასევე ტექნოლოგიის საბაზრო სიცოცხლის უნარიანობის ვადების შემჭიდროვება. სწორედ ამიტომაც, ტექნოლოგიათა ყველა შემქმნელი მაქსიმალურადაა დაინტერესებული მისი სწრაფი კომერციალიზაციით.

ევროპის მსხვილ კომპანიათა ტექნოლოგიურ სტრატეგია, რომელსაც ისინი სხვა ფირმებთან და ქვეყნებთან მიმართებაში ახორციელებენ, შემდგომია. პირველ ეტაპზე უპირატესობა ენიჭება მზა პროდუქციის რეალიზაციას, რომელშიც მატერიალიზირებულია ახალი იდეები, პრინციპები, პროცესები და

რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს მყიდველისათვის ახალი თვისობრივი დონის მიღწევა მოცემული საქონლის გამოყენების პროცესში. მეორე ეტაპზე ტექნოლოგიურ გაცვლას თან ახლავს პირდაპირი ინვესტიციები ახალ ბაზრებზე, რაც იძლევა ეკონომიას შრომის, სატრანსპორტო და სხვა მომსახურების ხარჯებში და შესაძლებელს ხდის გაიზარდოს მოგება. მესამე ეტაპზე უპირატესობა ენიჭება მხოლოდ ლიცენზიების გაყიდვას, ანუ საკუთრების უფლების დათმობას დაპატენტებულ ან არადაპატენტებულ (ნოუ-ჰაუ) ტექნოლოგიაზე. მასიურ ცნობიერებაში სწორედ ეს ეტაპი ასოცირდება ტექნოლოგიურ გაცვლად, მაგრამ როგორც ვენ ვხედავთ, ეს არის სამივე ეტაპის ერთობლიობა. მესამე ეტაპის ბოლო წლებს ხშირად თან ახლავს ერთობლივი საწარმოების შექმნა.

ახალი ტექნოლოგიების საიმედო წყაროდ ამჟამად იქცნენ მცირე ზომის ვენჩურული კომპანიები და ტექნოპარკები, რომლებიც იზიდავენ დაინტერესებული ფირმების, ფონდების, კორპორაციების კაპიტალს.

ტექნოლოგიის გადაცემა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა მეთოდითა და სხვადასხვა არხებით. ის შესაძლებელია გადაცემულ იქნას როგორც კომერციულ ასევე არა კომერციულ საფუძველზე, იყოს შიდასაფირმო, შიდასახელმწიფო ან საერთაშორისო.

## 2.2. მატერიალიზებული და არამატერიალიზებული ტექნოლოგიები

მატერიალიზებულ (**Embodied**) ტექნოლოგიებს განეკუთვნება პროცესი, როდესაც ადგილი აქვს მანქანა დანადგარების ყიდვას, რომელშიც „აქსოვილია“ ახალი ტექნოლოგიები ან მათი ცალკეული კომპონენტები.

არამატერიალიზირებული (**Disembodied**) ტექნოლოგიების შექმნის სტრატეგია გულისხმობს ტექნოლოგიების ლიცენზირებას (ლიცენზირებული ხელშეკრულების დადებას) – ცოდნისა (სწავლების გზით) და დოკუმენტაციის გადაცემით ტექნოლოგიის გავრცელებას, კვლევასა და შემუშავებაზე

კონტრაქტების დადებას, პატენტების შექმნას, ტექნოლოგიების საკონსალტინგო სააგენტოების გამოყენებას და სხვა<sup>3</sup>.

საზოგადოდ მსოფლიოში ფირმები იძენენ როგორც მატერიალიზებულ, ასევე არამატერიალიზირებულ ტექნოლოგიებს. ეს კეთდება იმისთვის, რომ ფირმამ შეიძინოს ნოუ-ჰაუ და ანერგოს სიახლე საკუთარი ინოვაციური სტრატეგიის შესაბამისად.

ცნობილია, რომ როგორც მატერიალიზებულ ასევე არამატერიალიზირებულ ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ტექნოლოგიური ბაზის შექმნაში. ამჟამად ევროპის კვლევების პოლიტიკა დგას ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორცაა: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, გლობალური დათბობა, რესურსების შემცირება (გამოღება), ევროპის მოსახლეობის ასაკობრივი პრობლემები და მრავალპოლარული მსოფლიო კონკურენციის არსებობა. ამიტომ ევროპას ესაჭიროება მეტი ძალისხმევა რათა დაამკვიდროს უფრო მოქნილი და ჭკვიანური ეკონომიური პოლიტიკა, გადავიდეს მწვანე ეკონომიკაზე და ზოგადად ეკონომიკაზე რომელშიც ცოდნის წვლილი გაცილებით დიდი იქნება აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად.

ტექნოლოგიის მატერიალიზირებული ფორმით გულისხმობს არხების, აგრეგატების, ავტომატიზირებული და ელექტრონული მოწყობილობების, ტექნოლოგიური ხაზების გაყიდვას; აგრეთვე ინვესტიციების საშუალებით მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და წარმოების მოდერნიზაციას, თუკი მათ თან ახლავს საინვესტიციო საქონლის ნაკადი და/ან ლიზინგი.

არამატერიალიზებული ტექნოლოგიების გადაცემა გულისხმობს:

- ლიცენზიების გაყიდვას სამრეწველო საკუთრების ყველა დაპატენტებულ სახეობაზე;
- ლიცენზიების გაყიდვა სამრეწველო საკუთრების დაუპატენტებულ სახეობებზე;

---

<sup>3</sup> External Technology Sources: Embodied or Disembodied Technology Acquisition, BRUNO CASSIMAN  
Universitat Pompeu Fabra Ramon Trias Fargas 25-27 08005 Barcelona, Spain  
([https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/102903/1/OR\\_0004.pdf](https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/102903/1/OR_0004.pdf) )

– „ნოუ-ჰაუ“, საწარმოო საიდუმლოება, ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, გადაცემული ტექნიკისა და მოწყობილობის თანმდე დოკუმენტაცია, ინსტრუქციები, ნახაზები, სქემები, სპეციფიკაციები, ტექნოლოგიური რუკები, აგრეთვე სპეციალისტთა სწავლება, საკონსულტაციო მომსახურება, ექსპერტიზა და სხვა;

ტექნოლოგიის კომერციული გადაცემის პრაქტიკულად მთელი მოცულობა ფორმდება **სალიცენზიო ხელშეკრულებით**, რომელშიც დაპატენტებულ ინფორმაციასთან ერთად შესაძლოა ფიგურირებდეს მთელი რიგი სხვა დებულებებისა და მოთხოვნებისა, რომელთა დაცვაც სავალდებულოა მხარეებისათვის. **სალიცენზიო ხელშეკრულების** ამგვარ პუნქტებს შესაძლოა წარმოადგენდეს: **ლიცენზიატის** (ლიცენზიის მყიდველი) ვალდებულება გამოიყენოს მიღებული ტექნოლოგია განსაზღვრულ არეალში (დარგობრივი, ტერიტორიული ასპექტით); **ლიცენზიარის** (ლიცენზიის გამყიდველი) და (ან) ლიცენზიატის ვალდებულება გადასცეს სრული ინფორმაცია შექმნილი ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფის თაობაზე; ლიცენზიატის ვალდებულება განახორციელოს ე.წ. დაკავშირებული შესყიდვების გარკვეული მოცულობა<sup>4</sup>, ვადის მითითება, რომლის განმავლობაშიც ლიცენზიარი მიიღებს **როიალტის** – გაყიდვის მოცულობიდან პროცენტის პერიოდული გადარიცხვა (დამოკიდებული არ არის საპატენტო დაცვის ვადებზე); სალიცენზიო ხელშეკრულებაში ლიცენზიატის უფლების ართვა ისარგებლოს სასაქონლო ნიშნით, მომსახურების ნიშნით, სავაჭრო დასახელებით.

ტექნოლოგიის არაკომერციული გადაცემის ყველა ტიპი, მათ შორის შიდასაფირმო ტრანსფერტი, ხორციელდება თავისუფლად და, ასე ვთქვათ, არ საჭიროებს სახელშეკრულებო-სამართლებრივ გაფორმებას და რეგლამენტაციებს. ტექნოლოგიის გადაცემის კომერციული ფორმები, როგორც შიდა საფირმო, ასევე საერთაშორისო საჭიროებს ხელშეკრულების სახით გაფორმებას (სალიცენზიო, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის, ერთობლივი წარმოების, ან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები). შიდასახელმწიფო ან საერთაშორისო დონეზე ტექნოლოგიის გადაცემა და

<sup>4</sup> ა.ოქროსცვარიძე, დ. ოქროსცვარიძე, მ.ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიური ურთიერთობები, თბილისი 2009

ტექნოლოგიური გაცვლა, რეგულირდება ეროვნული საკანონმდებლო აქტებით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით შესაბამისად, აგრეთვე მხარეთა (ფირმები, კორპორაციები და სხვა) კონკრეტული ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით.

ხელშეკრულება აუცილებელია იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის (მატერიალიზებული თუ არამატერიალიზებული) ტექნოლოგიის გადაცემა განხორციელდა. ევროპაში არ მოქმედებს სალიცენზიო ხელშეკრულებების რაიმე ფორმა, განსხვავებული მსოფლიო პრაქტიკისგან ამ სფეროში. ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს ძირითადი მონაცემები (მათ შორის ხელშეკრულების საგანი, მხარეთა ვალდებულებანი, სანქციები, ფორს-მაჟორის პირობები, დავის გადაწყვეტის ფორმები, ანგარიშსწორების წესი და ფორმა და სხვა), რომლებიც მეტნაკლებად სტანდარტულია ნებისმიერი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებისათვის და, ასევე, უნდა აისახოს სპეციფიკური, მხოლოდ ტექნოლოგიათა გადაცემის ხელშეკრულებათათვის დამახასიათებელი მომენტები. მსოფლიო გამოცდილებამ ა ვენა, რომ ტექნოლოგიათა გადაცემის ეფექტურობა ეცემა, თუ მოწოდება ხორციელდება არაკომპეტენტურად, არასრული შესაბამისი დოკუმენტაციის და მომსახურების სრული პაკეტის გარეშე. ამიტომ სალიცენზიო ხელშეკრულებებში მიზანშეწონილია დარეზერვირებულ იქნას: ტექნიკის, ტექნოლოგიის, მისი დოკუმენტაციისა და მომსახურების სრული პაკეტი; პერსონალის მომზადების, სათადარიგო ნაწილების მოწოდება და რემონტი (თუკი ლიცენზია მანქანების შექმნასაც გულისხმობს), საწარმოო და გაყიდვის შემდგომი მომსახურება, სხვა სახის ტექნიკური დახმარება სალიცენზიო ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში.

ევროპაში, ისევე როგორც დანარ ენ მსოფლიოში, გამოიყენება სალიცენზიო შეთანხმებების ყველა ნაირსახეობა, ანუ სრული, უბრალო და განსაკუთრებული ლიცენზია, ჯვარედინი ლიცენზია და ა.შ. ამ მხრივ ევროპაში რაიმე განსაკუთრებული პრაქტიკა არ არსებობს.

ჩვეულებრივია გაყიდული ლიცენზიების ანაზღაურების პრაქტიკაც. ლიცენზიის ღირებულება მჭიდროდაა დაკავშირებული ანგარიშსწორების



ფორმასთან. ლიცენზიით წარმოებული პროდუქციის ერთეულის მიხედვით ანგარიშსწორების პირობებში, ანუ **როიალტის** ფორმის შემთხვევაში, საერთო გადახდა სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდისათვის უფრო მეტია, ვიდრე პირდაპირი ანგარიშსწორების დროს, როდესაც ლიცენზიის საერთო ღირებულება გადაიხდება ნაწილ-ნაწილ. გამოიყენება სალიცენზიო ანგარიშსწორების **კომბინირებული** ფორმებიც, როცა ღირებულების ნაწილი სალიცენზიო პროდუქციის ათვისების პერიოდში ანაზღაურდება ერთი ფორმით, ხოლო პროდუქციის წარმოების დაწყების მომენტიდან კი როიალტის ფორმით. ამ შემთხვევაში არსებითია სალიცენზიო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნას ყოველწლიური გადახდები, რომელიც უნდა განახორციელოს მყიდველმა, იმ შემთხვევაშიც კი როცა ის არ იყენებს ლიცენზიას და არ აწარმოებს მოცემულ პროდუქციას. პროდუქციის ერთეულის საანგარიშსწორებო ფასის ერთეულად მიიჩნევა მწარმოებლის ნეტო-ფასი, რომლიდანაც გამოიქვითება ფასდაკლებები შეფუთვის, შენახვის, დაზღვევის, და სხვა არასაწარმოო დანახარჯებზე.

ბოლო წლებში საერთაშორისო ლიცენზირება ძლიერ გაიზარდა. ასე მაგალითად, **OECD** ქვეყნებში 1980 წლიდან 2004 წლამდე შემოსავალი ლიცენზირებიდან გაიზარდა 11-ჯერ (**USD 10** მლრდ-დან **USD 110** მლრდ-მდე). ანალოგიური სურათია ევროგაერთიანების ცალკეულ ქვეყნებშიც<sup>5</sup>.

დაპატენტებული ტექნოლოგიის შექმნისა და გაყიდვის წახალისების მიზნით ევროპის მრავალ ქვეყანაში შემოღებულია სალიცენზიო გარიგებებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შეღავათიანი სქემები (იხ. ამ წიგნის თავი *სამრეწველო საკუთრების დაცვა და ინოვაცია*).

### 2.3. ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სხვა სახეები

გარდა ჩვენს მიერ განხილული სალიცენზიო ხელშეკრულებისა პატენტის ან „ნოუ-ჰაუ“-ს გამოყენებაზე, რომლის მიხედვით პატენტის მფლობელი (ლიცენზიარი) ლიცენზიატს აძლევს გარკვეულ უფლებას პატენტისა ან „ნოუ-

<sup>5</sup> Shigeki Kamiyama, Jerry Sheehan, Catalina Martinez. Valuation and exploitation of intellectual property directorate for science, technology and industry working paper, 2006/5 DSTI/doc (2006), [www.oecd.org](http://www.oecd.org)

ჰაუ“-ს სამრეწველო ან კომერციული მიზნით გამოყენებაზე - განსაზღვრულ დროში, განსაზღვრულ ტერიტორიაზე და განსაზღვრული ანაზღაურებით, გამოიყენება ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სხვა სახეები:

- სამრეწველო ფრანჩაიზის ხელშეკრულება - ეს არის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ერთი მხარე (ფრანჩაიზის მყიდველი) მეორე მხარისგან (ფრანჩაიზის მფლობელისგან) შეისყიდის უფლებას (ფრანჩაიზას) ფრანჩაიზის მფლობელის სავაჭრო მარკით პროდუქციისა და/ან მომსახურების წარმოების მიზნით გარკვეულ ტერიტორიაზე;
- ტექნიკური კოოპერაციის ხელშეკრულება - ხელშეკრულებების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სამრეწველო და კომერციული პირობებისა და ამოცანების ფართო გამას, მაგალითად ისეთს, როგორცაა არსებული ტექნოლოგიების გამოყენება მრეწველობის ახალ სფეროებში, ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიის დამუშავება და ა.შ.;
- ტექნიკური ხელშეწყობის ხელშეკრულება - ეს არის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ერთი მხარე მეორეს უწევს მთელ რიგ ტექნიკურ მომსახურებას;
- ერთობლივი საწარმოს შექმნის ხელშეკრულება - ეს არის ხელშეკრულება ახალი საწარმოს შექმნისა ინტელექტუალური, ფინანსური, მატერიალური და სამუშაო რესურსის ერთობლივი გამოყენების მიზნით.

## 2.4. ტექნოლოგიების ექსპორტ-იმპორტი ევროკავშირში

საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს ახალი ათასწლეულის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ინტენსიურ და ცხელ ინდუსტრიას. საქონლით და მომსახურებით ვაჭრობა არსებობს იმიტომ, რომ ქვეყნების ერთ ჯგუფს სურს შეიძინოს საქონელი და მომსახურება რომელიც მას არ გაა ნია, მაგრამ გაა ნია სხვა ქვეყნებს. ასევეა ტექნოლოგიების შემთხვევაშიც. ევროკავშირი გამონაკლისი არაა.

ევროკავშირის დონეზე ტექნოლოგიების ექსპორტ-იმპორტად ითვლება წვერი ქვეყნების სუბიექტების უფლებების გადაცემა-მიღება ევროკავშირის არაწვერი ქვეყნების სუბიექტისათვის. ამასთანავე, ევროგაერთიანების ერთი ქვეყნის სუბიექტის მიერ ევროგაერთიანების მეორე ქვეყნის სუბიექტისათვის ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლებების გადაცემა ტექნოლოგიების ექსპორტ – იმპორტია ამ ქვეყნების დონეზე.

გაერთიანებული ევროპის სივრცეში ექსპორტ-იმპორტის მარეგულირებელი მთავარი ნორმატიული აქტებია: 1957 წლის რომის ხელშეკრულება (The Treaty of Rome) – მუხლები 85; 86; აგრეთვე 30 და 34-ე. გარდა ამისა არსებობს სპეციალური აქტები, რომლებიც ეხება პატენტების ლიცენზიებს (1984 წლის 22 ივნისს მიღებული №2349/84), ნოუ-ჰაუს ლიცენზიებს (1988 წლის 30 ნოემბერს მიღებული №556/89) და ნოუ-ჰაუს გადაცემას (2004 წელს მიღებული №772-2004). გარდა ამ აქტებისა მხედველობაშია მისაღები კონკურენციის სფეროში მოქმედი აქტები, მათ შორის ანტიმონოპოლური კანონმდებლობა და ევროპის საპატენტო კონვენცია და ღირეპტივები მოქმედი პატენტების სფეროში; გაერთიანებული ევროპის დიზაინის შესახებ აქტი და ღირეპტივები ამ სფეროში; გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნების შესახებ აქტი და ღირეპტივები ამ სფეროში. რასაკვირველია, მხედველობაში მიიღება ცალკეული ქვეყნების ეროვნული კანონებიც.

ევროკავშირის ქვეყნებში ტექნოლოგიების იმპორტ-ექსპორტზე სახელმწიფოს მხრიდან ნებართვების მიღება საჭირო არაა (განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნისაგან, სადაც სახელმწიფო ნებართვებს ხელშეკრულებების ხარისხის გარანტიად მიიჩნევენ). გამონაკლისი ყველა წვერი ქვეყანაში არის სამხედრო, ორმაგი დანიშნულებისა და ზოგიერთი სხვა ტექნოლოგიები. ზოგიერთ ქვეყანაში აუცილებელია დადებული კონტრაქტების რეგისტრაცია (ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, შვეცია), რაც შემდგომში საგადასახადო შეღავათების მიღების საფუძველია.


ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაციის მიერ 2009 წელს მომზადებული ანგარიშში ზემოაღნიშნულ საკითხზე მეტი ინფორმაციის

ნახვა შეიძლება<sup>6</sup>. იგივე ანგარიშის თანახმად, ეკონომიკის მოძრაობამ ცოდნაზე დაფუძნებული მოდელისკენ პატენტების ფუნქციის გაფართოება გამოიწვია. პატენტები ამჟამად უფრო სტრატეგიულად იხილება, ვიდრე წარსულში და იმართება როგორც აქტივები. ინოვაციური პროდუქტების გამოშვებისას, მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორცაა: კონკურენტების მიერ დაპატენტების ბლოკირება, სასამართლო დავების თავიდან აცილება, მოლაპარაკებებში აქტივის სახით გამოყენება, საკუთარი რეპუტაციის დამკვიდრება, ლიცენზირებით შემოსავლის მიღება და მუშაობის ეფექტიანობის შეფასება<sup>7</sup>. პატენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს), მათ შორის დამწყებთათვის. შედარებით შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე ისინი, ხშირად, პატენტებით ინარჩუნებენ პოზიციას ბაზარზე, იზიდავენ სახსრებს, იძენენ დამატებით საბაზრო შესაძლებლობებს დიდ კომპანიებთან თანამშრომლობის გზით. მათთვის პატენტები არა მარტო ლიცენზირების საშუალებაა, არამედ ერთობლივი (ვენჩურული) კაპიტალის მოზიდვისაც. ცნობილია, რომ სწორედ ეს საწარმოები თამაშობენ საინოვაციო პროცესებში არსებით როლს. ამის მკაფიო მაგალითია საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიოტექნოლოგიების სფეროები.

ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარზე ევროკავშირი (მისი რეზიდენტი კომპანიების სახით) ტექნოლოგიების გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი კერაა. ლისაბონის სტრატეგიის ის ნაწილი, რომელიც ეხება ევროკავშირში კვლევების განვითარებას, ამ ფუნქციის შემდგომ გაძლიერებაზე – კონკურენტუნარიანობის ზრდაზეა – მიმართული. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროკავშირშიც კი არა კვლევით ინოვაციას – კომპანიის მიერ მზა ტექნოლოგიის შექმნას, კვლევაზე დანახარჯების გარეშე – დიდი მნიშვნელობა აქვს. ინოვაციური ღონისძიებების თითქმის ნახევარი ევროკავშირში ამ არხით მიმდინარეობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს არხი „დამწყვი“ ეკონომიკებისთვის (ნახ. 1).

<sup>6</sup> ო. შატბერაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების საკითხები სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკაში: პატენტები. გამოკვლევის ანგარიში. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია, თბილისი, 2009. 55 გვ.  
<sup>7</sup> Turning Science into Business: Patenting and licensing at public research organisations OECD, 2003, 308 p.  
<http://www.oecdbookshop.org/oecd/>

პირობითად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა კვლევაზე დაფუძნებული ინოვაციის განმახორციელებელი ქვეყანაა ის, რომელშიც არა კვლევითი ინოვაციის არსებით ხორციელდება ინოვაციის ნახევარზე მეტი. ამჟამად ევროკავშირში მომრავლდა ასეთი ქვეყნები. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში განსაკუთრებით აქტიურად მსჯელობენ საკუთარი კვლევების კომერციალიზაციის ეფექტიანობის გაზრდაზე, ევროკავშირისთვის აქტუალურია არა კვლევითი არსების ეფექტიანობაც. შევნიშნოთ, რომ, როგორც ეს დიაგრამიდან ანს, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი არაკვლევითი არსები საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ<sup>8</sup>. არ უნდა დაგვავიწყდეს, რა თქმა უნდა, რომ ტექნოლოგიის აბსორბციის ფუნქციის შესრულებასაც ესაჭიროება კვლევითი პოტენციალი, რადგანაც აბსორბციის უნარის ნაწილი ტექნოლოგიის ადგილობრივ პირობებში ადაპტირების უნარია.



ნახ. 2.1. არაკვლევითი ინოვაციის წილი ევროკავშირის ქვეყნებში  
წყარო: EIS 2008

განსაკუთრებით იზრდება არაკვლევითი არსების მნიშვნელობა მცირე საწარმოებისთვის. ამდენად, საუბარი ტექნოლოგიების გადაცემის მექანიზმების ეფექტიანობაზე, ნიშნავს ფართოდ ტექნოლოგიების ათვისების

<sup>8</sup> Reinilde Veugelers and Mojmir Mrak. *The Knowledge Economy and Catching-up Member States of the European Union*. Report prepared for Commissioner's Potocnik's Expert Group, "Knowledge for Growth", May 2009

(აბსორბციის) უნარზე საუბარს, იმის მიუხედავად, თუ როგორია ამ ტექნოლოგიის წყარო. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერი არხის ეფექტურობა პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყანაში კვლევისა და განათლების (ცოდნის გადაცემის) სისტემების სიმძლავრეზე<sup>9</sup>.

### 3. ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობა: კანონმდებლობა და პრაქტიკა

#### 3.1. ინოვაციური ეკონომიკის კონცეფცია ევროკავშირში

როგორც აღვნიშნეთ, ტექნოლოგიების გადაცემა და, რაც მთავარია, მათი სწრაფი გავრცელება ევროკავშირის ქვეყნებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი მათი მყარი სამეცნიერო-კვლევითი ბაზის გარეშე. ტექნოლოგიების ტრანსფერტი ეფექტიანია ისეთ ეკონომიკაში, რომელიც მთლიანადაა ორიენტირებული განახლებაზე და განვითარებაზე ყველა მისი კომპონენტით – განათლების, კვლევის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, საფინანსო და სხვა სისტემებით. შეუძლებელია სხვისი მიღწევების ხარჯზე განვითარება საკუთარი კვლევითი/აბსორბციული პოტენციალის გაზრდის გარეშე<sup>10</sup>.

ეკონომიკას, რომელიც ზრდის 80% ახალი ტექნოლოგიების ათვისების ხარჯზე უზრუნველყოფს, ინოვაციურ ეკონომიკას უწოდებენ (*innovation-driven economy*). ევროკავშირის ამოცანაა მიაღწიოს ინოვაციით მართული ეკონომიკების ჩამოყალიბებას ევროკავშირის ყველა ქვეყანაში და არა მხოლოდ ნაწილში, როგორც ამას დღეს აქვს ადგილი. ამისთვის ევროკავშირი საგანგებო ზომებს იღებს.

იმ დროს, როდესაც კომპანიის მიერ ახალი ცოდნის შექმნა „გადააქვს მისი ტექნოლოგიური შესაძლებლობის საზღვარი უფრო შორს“, ცოდნის აბსორბცია „ახლოვებს კომპანიას ამ საზღვართან“<sup>11</sup>. ევროკავშირის ამოცანაა


<sup>9</sup> Georg Licht. *How to better diffuse technologies in Europe*. Knowledge Economists Policy Brief n° 7, January 2009 ([ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download\\_en/](http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download_en/))

<sup>10</sup> იხ. სქოლიო 12

<sup>11</sup> Reinhilde Veugelers and Mojmir Mrak. *The Knowledge Economy and Catching-up Member States of the European Union*. Report prepared for Commissioner's Potocnik's Expert Group, "Knowledge for Growth", May 2009 p.3

უზრუნველყოს ევროპულ კომპანიებში ორივე პროცესის უწყვეტი მდგრადი მოქმედება. ეს მიიღწევა ერთიანი კვლევითი სივრცის გაძლიერებით, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობით ევროპის შიგნით და გარეთ. აქ შესამჩნევი წარმატებებია მიღწეული<sup>12</sup>.

მსოფლიო ეკონომიკის უახლესი პროგნოზი გვი ენებს, რომ 10-15 წელიწადში მაღალტექნოლოგიური (ინოვაციური) პროდუქციისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი გაიზრდება 2-დან 10 ტრილიონ დოლარამდე და 10-ჯერ გადააჭარბებს სათბობ-ენერგეტიკული ბაზრის მოცულობას. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ვითარდება პროცესები და ტენდენციები, რომელთა შედეგად ამ ქვეყნებში ხორციელდება განათლებაზე და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ამოყალიბება. ამაზე მეტყველებს ევროპის განვითარების მომავალი სტრატეგიაც 2020 წლისათვის. ეკონომიკის კლასიკურ ელემენტებს შრომას, ფულს და მოგებას დაემატა მეოთხე უმნიშვნელოვანესი მდგენელი ცოდნა (ნახ.3), რომელმაც მოგების დამატებითი კომპონენტის  $\Delta_2$ -ის წარმოშობა გამოიწვია.



**ნახ. 3.1. ევროპის ეკონომიკის განვითარების სქემა  
(კლასიკური და თანამედროვე)**

<sup>12</sup> A more research-intensive and integrated European Research Area. Science, Technology and Competitiveness key figures report 2008/2009. Directorate-General for Research, 2008. Directorate C – European Research Area: Knowledge-based economy EUR 23608 EN

ინოვაციური ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშნებია: საერთო ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპი, პროდუქციის ნომენკლატურის განახლება და გაფართოება, მაღალი შიდა მოთხოვნილება, სამეურნეო საქმიანობის ინტელექტუალიზაცია და მეცნიერებატევადი მიმართულებების მკვეთრი ზრდა. ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნის სიმდიდრე იქმნება არა უცხოური ინვესტიციების ხარჯზე, არამედ ინოვაციებზე დაფუძნებული ეროვნული წარმოების და ბიზნესის საშუალებით<sup>13</sup>.

საინოვაციო სისტემის თეორიის მიხედვით, ინოვაცია და ტექნოლოგიის განვითარება ეკონომიკური სისტემის ელემენტებს შორის კომპლექსური ურთიერთობების შედეგია, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ნაციონალურ საინოვაციო სისტემას. ნაციონალური საინოვაციო სისტემის ცნება გასული საუკუნის 80-იან წლებში იქნა შემოტანილი კ.ფრიმენის მიერ და განიმარტა, როგორც: „საჯარო და კერძო სექტორების დაწესებულებათა ქსელი, რომელთა აქტივობები და ურთიერთქმედება ახდენს ახალი ტექნოლოგიების ინიცირებას, იმპორტირებას, მოდიფიცირებასა და გავრცელებას”.

### **3.2. საინოვაციო სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა ევროკავშირში**

ევროგაერთიანების კანონმდებლობა მოიცავს შეთანხმებებს, სასამართლო გადაწყვეტილებებს და კანონებს. საკანონმდებლო აქტები იყოფა ორ ნაწილად: მარეგულირებელ ნორმებად და დირექტივებად.

1999 წელს 12 ივნის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა ევროპული რეგიონული განვითარების ფონდის (ERDF)-ის მარეგულირებელი აქტი No 1783/1999 2000-2006 წლებისათვის<sup>14</sup>. ERDF-ის მიზანია ევროპის რეგიონების განვითარება, მათი ეკონომიკური და სოციალური

<sup>13</sup> უცხოეთის ქვეყნების ეროვნული საინოვაციო სისტემები, მ. კოპალეიშვილი, ი. ბედინაშვილი, ტექნიფორმი 2009.

<sup>14</sup> Regulation (EC) No 1783/1999 of the European Parliament and of the Council of 12 June 1999 on the European Regional Development Fund, (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2006:210:0001:0001:EN:PDF>)



ერთიანობა და ამ ერთიანობის დარღვევის (დისბალანსის) შემთხვევაში მისი კორექცია სხვა სტრუქტურულ ფონდებთან აქტიური თანამშროლობით. მოცემულ აქტს წინ უძღოდა 1260/1999 ნორმატიული აქტი, რაც უზრუნველყოფდა ტრანსნაციონალურ და ინტერრეგიონალურ ურთიერთობას (Interreg III). ევროპული რეგიონალური განვითარების ფონდის შექმნა მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური აქტივობის ჰარმონიულ, დაბალანსებულ, მდგრად განვითარებას ევროპის რეგიონებში.

2004 წლის პირველი მაისიდან ევროკომისიამ მიიღო ახალი კანონი პატენტების, საავტორო უფლებების და ნოუ-ჰაუს ლიცენზირებისათვის<sup>15</sup>. აღნიშნული კანონის მიღება მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ შეზღუდა ბიურიკრატული პროცედურები და შესაბამისად გაიზარდა კომპანიებს შორის დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებების დაცვის შესაძლებლობა. სპეციალისტთა აზრით ტექნოლოგიების ტრანსფერტის ხელშეკრულებების კანონის შესაბამისმა ცვლილებამ ხელი შეუწყო ინოვაციების ფართო გავრცელებას, რამდენადაც კონკურენცია არის ინოვაციების წარმოქმნისა და გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. ამდენად, ახალი კანონის მიღების მნიშვნელოვანი მოტივაცია იყო მოძებნილიყო სწორი ბალანსი კონკურენტუნარიანობასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პროცესს შორის.

მეტად მნიშვნელოვანია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს ნორმატიული აქტი No 294/2008 ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის EIT შექმნის შესახებ, რომელიც გამოცემულ იქნა 2008 წელს<sup>16</sup>. ამ ინსტიტუტის შექმნით ევროპამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნისკენ.

EIT - ის ძირითადი მიზნებია:

1. ევროპული ცოდნის სექტორის დაცვა ფრაგმენტაციისგან;
2. ცოდნაზე დაფუძნებული ეტალონური მოდელის შექმნა;

<sup>15</sup> Article - Commission adopts new safe harbour for licensing of patents, know-how and software copyright, IP/04/470 Brussels, 7 April 2004, (<http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/04/470&for>)

<sup>16</sup> European Institute of Innovation and Technology (EIT) , Regulation (EC) No 294/2008 ([http://europa.eu/legislation\\_summaries/employment\\_and\\_social\\_policy/growth\\_and\\_jobs/i23030\\_en.htm](http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/growth_and_jobs/i23030_en.htm))

3. ეკონომიკური და ინოვაციური მიმართულებების ინტეგრაცია კვლევასა და განათლებასთან;
4. ცალკეული ინოვაციების გამოყენების არეალის გაფართოება.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე ანს, რომ EIT აერთიანებს ცოდნის სამკუთხედის პოლიტიკაში შემავალ სამივე კომპონენტს: განათლებას, კვლევას და ინოვაციებს, ხელს უწყობს ამ სფეროში მოღვაწე ძირითადი მონაწილეების მოზიდვას და ქსელების შექმნას. მოიაზრება, რომ ინსტიტუტი იქნება წვერი ქვეყნებისთვის სამოდერნო ორგანიზაცია.

მნიშვნელოვანია ევროკომისიის ნორმატიული აქტი EC No 1126/2008, რომელმაც მიიღო საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხავის სტანდარტი IAS და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშის სტანდარტი<sup>17</sup>.

ევროკომისიამ აგრეთვე მოამზადა ანგარიში ევროსაბჭოს და ევროპარლამენტის მისამართით, რომელიც ეხებოდა მე-7 ჩარჩო პროგრამის ერთ-ერთი მიმართულების, - „იდეების“, - ამოცანების განხორციელების მონიტორინგს 2008 წელს და სხვა.

2010 წლის 3 თებერვალს ევროპარლამენტში შეიქმნა ტექნოლოგიების ტრანსფერტის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა გზები და მექანიზმები (სამრეწველო, ფინანსური, მენეჯერული და სხვა), რომელიც უნდა შეიქმნას ტექნოლოგიების ტრანსფერტის განსახორციელებლად ევროპიდან განვითარებადი ქვეყნების მიმართულებით. აღნიშნული ჯგუფი მუშაობს პრობლემაზე თუ როგორ უნდა იქნას დაძლეული ბარიერები ინტელექტუალური და საკუთრების სხვა ფორმების დასაცავად<sup>18</sup>. რა არის საჭირო განვითარებული ქვეყნების სპეციფიკური შესაძლებლობისა და ტექნოლოგიების კიდევ ერთხელ გამოსაველენად.

ცოტა ხნის წინ ევროპარლამენტმა მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც ეხება სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებას გაყალბების წინააღმდეგ

<sup>17</sup> Commission Regulation (EC) No 824/2009, 1606/2002, 1225/2009

<sup>18</sup> World People's Conference on Climate Change and the Rights of Mother Earth (<http://pwccc.wordpress.com/2010/02/03/group-13-development-and-transfer-of-technology/>)

**(ACTA)<sup>19</sup>**. მოცემული რეზოლუცია მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას და ბრძოლას პროდუქციის გაყალბების წინააღმდეგ.

### **3.3. ტექნოლოგიების გავრცელების ხელშემწყობი ღონისძიებები ევროკავშირში**

თავისთავად ტექნოლოგიური ლიდერობა კი არ ქმნის ერის კონკურენტულ უპირატესობას, არამედ ტექნოლოგიის ეკონომიკაში დიფუზიის სინქარე<sup>20</sup>. ინოვაცია - არის უწყვეტი ექსპერიმენტალური შესწავლის პროცესი, რომლის პროდუქტსაც წარმოადგენს ახალი, პრაქტიკაში გამოყენებადი ცოდნა. დღეს ინოვაციები სისტემურია. ისინი წარმოიშვება მრავალ ადამიანთა შორის რთული ურთიერთქმედების შედეგად, ასევე ორგანიზაციებისა და გარემო პირობების გათვალისწინებით. ის ფირმები, რომლებიც აღწევენ დიდ წარმატებებს დანერგილი ეფექტური ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მაქსიმალური უკუგების შედეგად, კონკურენტუნარიანები არიან ბიზნეს მოდელის სხვა სფეროშიც, ისეთი როგორცაა: წარმოება, განაწილება, ადამიანური რესურსების მართვა, მარკეტინგი, მყიდველის მომსახურება და მასთან პარტნიორობა.

აქედან გამომდინარე ევროკომისიის, ეროვნული და რეგიონული მთავრობების საზრუნავია დიფუზიის დამაჩქარებელი ინფრასტრუქტურის განვითარება. ინსტიტუციური ინოვაციური ინფრასტრუქტურა შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან:

- ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები (ტექნოლოგიების ტრანსფერტის ცენტრები);
- ბიზნეს ინოვაციის ცენტრები;
- ბიზნეს-ინკუბატორები;
- ტექნოპარკები.

<sup>19</sup> European Commission IPR-Helpdesk ([http://www.ipr-helpdesk.org/news/news\\_6883.en.xml.html?mode=subscription](http://www.ipr-helpdesk.org/news/news_6883.en.xml.html?mode=subscription))

<sup>20</sup> Georg Licht. Technology Production vs. Technology Diffusion. Centre for European Economic Research (ZEW), Mannheim, Germany. 2006 ([http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download\\_en/kfg\\_report\\_no7.pdf](http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download_en/kfg_report_no7.pdf))

ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები იქმნება სამეცნიერო დაწესებულებების მრეწველობასთან ინტეგრაციის ხელშესაწყობად. მათი ძირითადი ფუნქციაა – ინტენსიური კომუნიკაციის უზრუნველყოფა ტექნოლოგიის დამმუშავებლებსა და მომხმარებლებს შორის.

**ბიზნეს ინოვაციის – ცენტრები** სპეციალიზირდებიან მცირე ინოვაციური ბიზნესის ხელშესაწყობად მისი ამოყალიბების საწყის ეტაპზე:

- დამწყები მეწარმეების ინფორმაციული ხელშეწყობა;
- შემკვეთების (ინვესტორების) მოძიება;
- დახმარება მმართველი კადრების შერევაში;
- ექსპერტების მოზიდვა, ბიზნესის საფუძვლების შესწავლა.

**ბიზნეს ინკუბატორები** მოწოდებულნი არიან ხელი შეუწყონ ტექნოლოგიური იდეის მიყვანას გარკვეულ დონემდე და შემდგომ მის რეალიზაციას.

**ტექნოპარკების** ძირითადი ამოცანებია:

- კვლევითი ან სასწავლო პოტენციალის შენარუნება;
- იდეების, სამეცნიერო ტექნიკური პროექტების და ინოვაციების საბაზრო გარემოს ფორმირება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიების ტრანსფერტი;
- საინოვაციო პროექტების საკადრო უზრუნველყოფა, მეურვეობა და სხვა.

ევროპაში არსებულ სახელმწიფო, კერძო და განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებს შორის ინოვაციური პროცესების ეფექტური დიფუზიის მისაღწევად შექმნილია სხვადასხვა ქსელები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია **TAFTIE**<sup>21</sup> და ევროპის საწარმოთა ქსელი **Enterprise Europe Network**<sup>22</sup>.

**TAFTIE** - არის ნაციონალური საინოვაციო სააგენტოების ევროპული ქსელი. იგი აერთიანებს ევროპის 21 ქვეყნის 23 ორგანიზაციას, პასუხისმგებელს

<sup>21</sup> The European network of innovation agencies TAFTIE Web Portal: <http://www.taftie.org/default.asp>

<sup>22</sup> Enterprise Europe Network Web Portal: [http://www.enterprise-europe-network.ec.europa.eu/index\\_en.htm](http://www.enterprise-europe-network.ec.europa.eu/index_en.htm)

ნაციონალური ტექნოლოგიური პროგრამების შესრულებისთვის. მისი წევრები აქტიურად მონაწილეობენ ევროპის ეკონომიკური განვითარების პლატფორმის შექმნაში როგორცაა: წარმოების პროცესი, სერვისი, ნაციონალური და საერთაშორისო კვლევა, ინოვაციური პროგრამების გავრცელება და სხვა. ქსელი TAFTIE დაარსდა 1992 წელს და შემდგომ თანდათან გაფართოვდა. რაც დრო გადის მასში გაწევრიანებაზე სურვილს გამოთქვამენ სულ უფრო მეტი ევროპული სახელმწიფოების ორგანიზაციები. ამჟამად **TAFTIE** ქსელში გაერთიანებული ორგანიზაციების მენეჯერთა რაოდენობა აღემატება 4500, ხოლო ამ ორგანიზაციების საერთო ბიუჯეტი შეადგენს 4 მილიარდ ევროს.

საერთაშორისო კონკურენციის თვალსაზრისით დღევანდელი რეალობა მკაფიოდ არის გამოხატული. კერძოდ, ერთის მხრივ არის ამერიკის შეერთებული შტატები საკმაოდ ძლიერი სამეცნიერო ბაზით და მეორეს მხრივ ჩინეთი საკმაოდ იაფი შრომის ბაზრით. ეს ქმნის ევროპის სახელმწიფოებისთვის სტიმულს გაერთიანდნენ და შეიქმნან საუკეთესო პირობები კვლევისა და ინოვაციების განვითარების კუთხით. TAFTIE-ს ქსელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება.

ევროპის საწარმოთა ქსელი **Enterprise Europe Network** ეს არის ევროგაერთიანების სტრატეგიის და სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს ევროპის 45 ქვეყნის 570 ბიზნესის ხელშემწყობ ორგანიზაციას და აქტიურად ესმარება მცირე საწარმოებს, რათა მათ მოიპოვონ ღირსეული ადგილი ევროგაერთიანების ბაზარზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროპის საწარმოთა ქსელის ორგანიზაციებს შორის გაერთიანებული არიან ევროპის სავაჭრო პალატები, საწარმო-ტექნოლოგიური ცენტრები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და განვითარების სააგენტოები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი კლიენტების მოთხოვნილებები და საზოგადოდ ევროპის ბაზარი. როგორც ევროპის საწარმოთა ქსელის წევრები, მასში მონაწილე ორგანიზაციები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან მონაცემთა ბაზებით, ტექნოლოგიური რესურსებით, ცოდნის გაცვლით (გაზიარებით) და ბიზნეს პარტნიორობით.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერა გახლავთ ევროგაერთიანების ქვაკუთხედი. იგი მიმართულია სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ევროგაერთიანების კომპანიების 99% არის მცირე და საშუალო საწარმო (SMEs), რომელთაც დასაქმებული ყავს მოსახლეობის 67%, ამიტომ რაც კარგია (SMEs)-თვის ის კარგია ევროპის ეკონომიკისათვის.

ევროპის საწარმოთა ქსელი ნაწილობრივ ფინანსდება *კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების პროგრამიდან (CIP)*, რომელიც დაიწყო 2006 წლის თებერვალში ევროკომისიის **DG for Enterprise and Industry** დირექტორატის მიერ და მიზნად ისახავს ევროპული კომპანიების დახმარებას, მათი ეფექტურობის და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად<sup>23</sup>. მართალია CIP-იც და ევროპის საწარმოთა ქსელიც ორიენტირებულია ძირითადად SMEs დასახმარებლად, მაგრამ ის არ გამორიცხავს მჭიდრო კოოპერაციას სხვა სახის ბიზნესთან და ორგანიზაციებთან, კერძოდ უნივერსიტეტებთან და სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებთან.

ევროპის საწარმოთა ქსელი დაფუძნდა ევროპის ყოფილ *ევროპულ საინფორმაციო (EIC)* და *ინოვაციის გადაცემის (IRC)* ცენტრების ბაზაზე, რომლებიც დაარსებული იყო ჯერ კიდევ 1987-95 წლებში. ევროპის საწარმოთა ქსელი მოიცავს საქმიანობის შემდეგ სფეროებს: აგრომრეწველობა, სურსათი, ტრანსპორტი, ლოგისტიკა, ბიოტექნოლოგიები, ფარმაცევტიკა, კოსმეტიკა, ქიმიური მრეწველობა, გარემოს დაცვა, მედიცინა, მასალათმცოდნეობა, მრეწველობა, ენერგეტიკა და სხვა.

ლისაბონის სტრატეგიის შესაბამისად, ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობისთვის ფინანსური რესურსების, კერძოდ კი სარისკო კაპიტალის მოცულობის განუხრელი ზრდა ევროკავშირის უმთავრესი საზრუნავია. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებულია ფინანსური ინფრასტრუქტურის ქვემოთ ამოთვლილი კომპონენტები, რომლებიც შემდეგი სპეციფიკით ხასიათდებიან:

---

<sup>23</sup> Competitiveness and Innovation Framework Programme (CIP) [http://ec.europa.eu/cip/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/cip/index_en.htm)

- **ბანკები** – დაბალი რისკის პოლიტიკის გამო ბანკები პრაქტიკულად არ მუშაობენ კომპანიებთან მათი ფუნქციონირების საწყის ეტაპზე.
- **საინვესტიციო ინსტიტუტები** (სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები და ა.შ.), როგორც წესი მუშაობენ დაბალი რისკის პირობებში, რადგან ურ ევნიათ საქმე იქონიონ ისეთ პარტნიორებთან, რომელთაც აქვთ წარმატებული ბიზნესი და კარგი რეპუტაცია ბიზნესის სფეროში.
- **საინვესტიციო ფონდები.** როგორც წესი კონცენტრირდებიან ბიზნესის გარკვეულ სახეობებზე. გადაწყვეტილების მიღება ინვესტიციების გაცემის შესახებ მეტად რთულია და დროში გაწვდილი. უპირატესობას ანიჭებენ წარმატებული ბიზნესის ინვესტირებას.
- **სააქციო კაპიტალი.** ინვესტირების გავრცელებული და ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოითხოვს საკმაოდ მაღალ საწყის დანახარჯებს. ამასთანავე, აქციონირება ეს არის გაფართოების ინსტრუმენტი და არა ბიზნესის დაწყება.
- **ბიზნეს-ანგელოზები** - პირები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით დაინტერესებული არიან სარისკო პროექტებში ფულის ადებით. ახალი კომპანიებისათვის ეს არის ყველაზე უბრალო და ხშირად ყველაზე მისაწვდომი საშუალება ფულადი სახსრების მოსაპოვებლად.
- **ვენჩურული ფონდები.** სპეციალიზირებული ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც შექმნილია დიდი რისკის ზონაში სამუშაოდ, რის გამოც მათი ინვესტიციები ყველაზე ძვირია. განაცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები შედარებით მარტივია და ოპერატიული.

დამფუძნებლები					
ბიზნეს ანგელოზები					
		ვენჩურული ფონდები			
		არაფინანსური კორპორაც.			
			საფონდო ბაზარი		
		კომერციული ბანკები			
					→

## ნახ. 3.2. რესურსების ძირითადი წყარო ინოვაციური ბიზნესის საწყის ეტაპებზე

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ვენ ურული კაპიტალის გამოყენება უკავშირდება ერთობლივი საქმიანობის წამოწყებისა და მისი წარმატებით გაძღვლასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამიტომ ვენ ურული კაპიტალი გარანტირებულად ვერ იქნება დაცული ევროპული ქვეყნების ტერიტორიებზე მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაციის მიღწევის გარეშე.

## 4. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში ვენ განვიხილეთ ტექნოლოგიების გადაცემის სახეები და ფორმები, რომლებიც მიმართულნი არიან უზრუნველყონ მოწინავე ტექნოლოგიების ეფექტური დიფუზია ევროგაერთიანების ფარგლებში. სტატიაში წარმოდგენილი ფაქტები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, აგრეთვე, რომ ევროგაერთიანების ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა კვლევებისა და შემუშავების დაფინანსებას. ევროპაში მია ნიათ, რომ ქვეყნის მომავალი უნდა იყოს აგებული ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე და მისი ჰარმონიული განვითარება დაკავშირებულ უნდა იყოს სამ ძირითად შემადგენელ ელემენტთან, როგორცაა განათლება, კვლევა და ინოვაციები. თითოეული ამ კომპონენტის შესუსტება გამოიწვევს მთლიანად სისტემის (ეკონომიკის) კრიზისს. ამასთან ერთად ევროპისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების შექმნა და ამ ტექნოლოგიების ტრანსფერტი. უმთავრესად სწორედ ამას ემსახურება მე-7 არ ო პროგრამა, CIP-ი, EUREKA, ENIAC-ი, ARTEMIS-ი და სხვა პროგრამები, რომლებიც ამჟამად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობენ და გულისხმობენ საბოლოო პროდუქტის შექმნას ევროპულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ბაზარზე.

ნიშანდობლივია, აგრეთვე, რომ ინფორმაციის გაცვლის, ინტერაქტიულობისა და უკეთესი კოოპერაციის მიზნით ევროპაში საწარმოებს შორის (ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოებს შორის) შექმნილია ქსელები და კავშირები,



რომელთა საშუალებით ხდება ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინება და კოორდინაცია ინოვაციების დანერგვის საკითხებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში ეკონომიკა, რომელიც დაკავშირებულია კვლევებთან, არის საკმარისად კოოპერირებული და ორიენტირებული განვითარებაზე. აღნიშნული ქმედებები და ზოგადად პოლიტიკა მიმართულია ევროპული მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად, ტექნოლოგიური პროგრესისათვის, თითოეული ევროპელისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად და საზოგადოდ იმ პრინციპის განსახორციელებლად, რომ არსებულ კონკურენტულ გარემოში ევროპამ მიაღწიოს მოსახლეობის კეთილდღეობის მაქსიმალურ დონეს.

## ლიტერატურა

First Action Plan for Innovation in Europe. European Commission, 1996.  
(<http://cordis.europa.eu/documents>)

A more research intensive and integrated European Research Area: Science, Technology and Competitiveness Key Figures Report 2008-2009, EC, DG RTD, Directorate C".  
[http://ec.europa.eu/research/era/pdf/key-figures-report2008-2009\\_en.pdf](http://ec.europa.eu/research/era/pdf/key-figures-report2008-2009_en.pdf)

Key Technologies for Europe: Towards a Research Strategy Beyond Lisbon (EU Expert Group 2006).  
[http://ec.europa.eu/research/foresight/09/article\\_3748\\_en.htm](http://ec.europa.eu/research/foresight/09/article_3748_en.htm)

Aho Group Report. January 2006. Creating an Innovative Europe, Report of the Independent Expert Group on R&D and Innovation. <http://www.euractiv.com/en/science/aho-report-final-call-concrete-efforts-research-innovation/article-151807>

Knowledge intensive growth: European Strategies in the Global Economy Conference of the French Presidency of the European Union, Toulouse, 7-9 July 2008.

A Knowledge Intensive Future for Europe, European Commission, Directorate-General for Research, Expert Group Report October 2009 [http://ec.europa.eu/research/era/publication\\_en.cfm](http://ec.europa.eu/research/era/publication_en.cfm)

A Knowledge Intensive Future for Europe, European Commission, Directorate-General for Research, Expert Group Report October 2009, [http://ec.europa.eu/research/era/publication\\_en.cfm](http://ec.europa.eu/research/era/publication_en.cfm)

Notes on Technology Transfer, <http://www.gdrc.org/uem/techtran.html>

ა. ოქროსცვარიძე, დ. ოქროსცვარიძე, მ. ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიური ურთიერთობები, თბილისი 2009

External Technology Sources: Embodied or Disembodied Technology Acquisition, BRUNO CASSIMAN Universitat Pompeu Fabra Ramon Trias Fargas 25-27 08005 Barcelona, Spain  
[https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/102903/1/OR\\_0004.pdf](https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/102903/1/OR_0004.pdf)

Draft International Code of Conduct on the Transfer of Technology. UNCTAD. 1985  
<http://www.unctad.org/en/docs/psiteiid28.en.pdf>

Turning Science into Business: Patenting and licensing at public research organisations OECD, 2003, 308 p. <http://www.oecdbookshop.org/oecd/display.asp?K=5LMQCR2K3Z7L&LANG=EN>

Reinhilde Veugelers and Mojmir Mrak. *The Knowledge Economy and Catching-up Member States of the European Union*. Report prepared for Commissioner's Potocnik's Expert Group, "Knowledge for Growth", May 2009

Georg Licht. *How to better diffuse technologies in Europe*. Knowledge Economists Policy Brief n° 7, January 2009 ([ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download\\_en/](http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download_en/))

Reinhilde Veugelers and Mojmir Mrak. *The Knowledge Economy and Catching-up Member States of the European Union*. Report prepared for Commissioner's Potocnik's Expert Group, "Knowledge for Growth", May 2009 p.3

A more research-intensive and integrated European Research Area. Science, Technology and Competitiveness key figures report 2008/2009. Directorate-General for Research, 2008. Directorate C – European Research Area: Knowledge-based economy EUR 23608 EN

World Intellectual Property organization, [www.wipo.int](http://www.wipo.int), <http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/patents/index.html>

Shigeki Kamiyama, Jerry Sheehan, Catalina Martinez. Valuation and exploitation of intellectual property directorate for science, technology and industry working paper, 2006/5 DSTI/doc (2006), [www.oecd.org](http://www.oecd.org)

The US Bayh-Dole Act. (Public Law 96-517, The Patent and Trademark Law Amendments Act enacted 1980 and amended in 1984, <http://www.ipo.uc.edu/index.cfm?fuseaction=policies.Bayh-Dole>)

ინტელექტუალური საკუთრების საკითხები სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკაში: პატენტები, ო. შატბერაშვილი, ზ. ნაცვალაძე, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია 05.01.09.

EC Official Journals L 226, 25.6.2004, p. 3; 22, OJ No L 31, 1.2.2002, p. 1  
<http://www.food.gov.uk/consultations/consultscot/2005/foodfeedamendscot05>

EC DG for health & consumers, [http://ec.europa.eu/food/international/trade/im\\_cond\\_meat\\_en.pdf](http://ec.europa.eu/food/international/trade/im_cond_meat_en.pdf)

REUTERS UK "EU shies away from stricter timber import rules"  
<http://uk.reuters.com/article/idUKLDE5BD1Y720091215>

მ. კობაღეიშვილი, ი. ბელინაშვილი. უცხოეთის ქვეყნების ეროვნული საინოვაციო სისტემები, ტექნოლორმი 2009.

The European network of innovation agencies TAFTIE Web Portal: <http://www.taftie.org/default.asp>

Enterprise Europe Network Web Portal: [http://www.enterprise-europe-network.ec.europa.eu/index\\_en.htm](http://www.enterprise-europe-network.ec.europa.eu/index_en.htm)

Competitiveness and Innovation Framework Programme (CIP) [http://ec.europa.eu/cip/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/cip/index_en.htm)

Internet Journal Enterprise and Industry [http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/index_en.htm)

Regulation (EC) No 1783/1999 of the European Parliament and of the Council of 12 June 1999 on the European Regional Development Fund, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2006:210:0001:0001:EN:PDF>

Article - Commission adopts new safe harbour for licensing of patents, know-how and software copyright, IP/04/470 Brussels, 7 April 2004,  
<http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/04/470&for>

European Institute of Innovation and Technology (EIT) , Regulation (EC) No 294/2008  
[http://europa.eu/legislation\\_summaries/employment\\_and\\_social\\_policy/growth\\_and\\_jobs/i23030\\_en.htm](http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/growth_and_jobs/i23030_en.htm)

Commission Regulation (EC) No 824/2009, 1606/2002, 1225/2009  
[http://www.google.ge/#hl=ka&source=hp&q=Commission+Regulation+\(EC\)+No+824%2F2009%2C+1606%2F2002%2C+1225%2F2009&btnG=Google+%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90&meta=&fp=246dd5640121fad](http://www.google.ge/#hl=ka&source=hp&q=Commission+Regulation+(EC)+No+824%2F2009%2C+1606%2F2002%2C+1225%2F2009&btnG=Google+%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90&meta=&fp=246dd5640121fad)

World People's Conference on Climate Change and the Rights of Mother Earth  
<http://pwccc.wordpress.com/2010/02/03/group-13-development-and-transfer-of-technology/>

European Commission IPR-Helpdesk: [http://www.ipr-helpdesk.org/news/news\\_6883.en.xml.html?mode=subscription](http://www.ipr-helpdesk.org/news/news_6883.en.xml.html?mode=subscription)

Georg Licht. Technology Production vs. Technology Diffusion. Centre for European Economic Research (ZEW), Mannheim, Germany. 2006 ([http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download\\_en/kfg\\_report\\_no7.pdf](http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download_en/kfg_report_no7.pdf))